წელიწადი მე-2 | შაბათი, 22 ოქტომბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.

**განცხადების ფასი:** [illegible]

რედაქცია და კანტორა ქუთაისში [illegible] მიქელაძის სახლებში.

№ 466 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 466



## ქალაქის თეატრი

ხუთშაბათს, 27 და და პარასკევს, 28 ოქტომბერს გაიმართება პირველად ქუთაისში ცნობილი

### დიდი საჯარო ქართული სიტყვა-მუსიკოვა — კ. ფოცხვერაშვილისა

**სიტყვის თემა:** „ქართული ხალხური სიმღერა-გალობა და მისი ჰარმონია—კონტრაპუნქტი“.

**სამუსიკო განყოფილებაში:** საუკეთესო მომღერალ-დამკვრელთაგან შესრულებული იქნება მრავალი ახალი ქართული სიმღერა-ჰიმნ-საგალობელნი.

გარჩეული იქნება თემატიურად და შესრულდება როიალზე პირველი ქართული **სიმფონიური პოემა „თ ქ მ უ ლ ე ბ ა ა მ ი რ ა ნ ზ ე“ კ. ფოცხვერაშვილისა.**

**ცალკე აფიშები არ გამოვა.**

თვითონ ფოცხვერაშვილი საილუსტრაციო ნიმუშთა შორის შეასრულებს სიმღერით და დაკვრით თორმეტ სხვადასხვა ერთა კილოებს; იტყვის ქართულ ხმებს; **„ჩონგურულს“**, **„მესტვირულს“**, **„ლილეს“**, **„ჯეჩხის ტყაოსნის შაირს“** და წაიკითხავს (გალობით) ქართულ სახარებას.

ბილეთები იყიდება მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზებში.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**


კვირას 23 ოქტომბერს საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორი წლის წირვა და პანაშვიდი ბრძოლის ველზე მოკლულის როტმისტრის თავადის

**მიხეილ დიმიტრის ძის მიქელაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მშობლები თავადი დიმიტრი სიმონის ძე მიქელაძე, კნეინა ირინე კონსტანტინეს ასული მიქელაძისა-შვილებით. პანაშვიდი დაიწყება თორმეტის ნახევარზე.


## გაზ. „სამშობლოს“ კანტორა

**აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ,**

რომ ვისაც ამ წლის ბოლომდე სრულიად არა აქვს ხელის[illegible] [illegible] 1 ნოემბრიდან აუცილებლათ შეუწყდებათ გაზეთის გზავნა.

## ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 20 ოქტომბრიდან ახალი პროგრამა

### შურის ძიების ცეცხლი

**ნადირთა შორის**

დრამა სამ დიდ ნაწილად, ცნობილ მსახიობთა—ლიდია კუარანტისა და მარიო ბუზანის მონაწ.

მიმდინარე ამბები. **პ ა ტ ე ჟ უ რ ნ ა ლ ი** მიმდინარე ამბები.

**ყალბი საჩუქარი**

კომედია 2 ნაწილად მარსელ ლევეკის მონაწ.

**ა ნ ო ნ ს ი:** ორშაბათიდან, 24 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება:

**კატორღელის ცხოვრება**

დრამა 5 ნაწილად. შელესტინასა, პოლონსკისა და სიტნიკოვის მონაწილეობით.

## ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 20 ოქტომბრიდან ახალი ორიგინალური თავისებური სილამაზის მქონე სურათი.

### „მოდგმის ზრახვა“

ძლიერი დრამა ოთხ ნაწილად ბოშათა ცხოვრებიდან ბ-ნ ტერეკის მონაწილეობით.

მიმდინარე ამბები. **პატე ჟურნალი** მიმდინარე ამბები.

**ბრძოლის ველიდან მოსული ნოვათი.**

მხიარული კომედია პრენსის მონაწილეობით.

**ა ნ ო ნ ს ი:** ორშაბათიდან, 24 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება:

1 სერია **მიმინოს ბუდე** დრამა ოთხ ნაწილად ლისენკოსა, კარაბანოვასა, რიმსკისა, პანოვისა და ბაკშეევის მონაწ.

## დაიბეჭდა

ბ. დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი: **„მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“** პირველი ნაწილი **ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა.** გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა. ფასი წიგნისა 6 აბაზი.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ. ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა“ და ბ. ვ. ციციანის მიერ შედგენილი ალგებრა ქართულ ენაზე.

## სახალხო წარმოდგენა

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 11.

შ ა ბ ა თ ი, 22 ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი 1916 წ.

I

### ორი გმირი

3 მოქმ. ვ. გუნიასი

II

### გამარჯვებულებს არ სჯიან

კომედია 1 მოქ.

მონაწილენი: ქ-ნი მდივანი მ., ჩხეიძე ან., ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი, თანაშ. ალ. გუგუშვილი. ადგილების ფასი სახალხოა.
ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**წარმოდგენის დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება.**

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 12.

კ ვ ი რ ა, 23 ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი 1916 წ.

**ჰ ა უ პ ტ მ ა ნ ი:**

### ვილჰელმ ჰენშელი

დრ. 5 მ.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., მდივანი მ., ლოლომბერიძე ო., ჩხეიძე ან., ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი თანაშ. ა. გუგუშვილი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მორიგე წევრი გამგეობისა ე. მეფისაშვილის ასული
ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე

**მოქმედების დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება**


# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### იტალიის ასპარეზი.

**რომი.** 20 ოქტომბერს იტალიის ოფიციალური. გუშინ მთელ პარეზზე ჩვენი არტილერია მედგრად მოქმედებდა, განსაკუთრებით ძლიერი იყო ზარბაზნების სროლა შუადღისას გორიცის აღმოსავლეთით. კარსოზე ჰაერში რამდენიმე ბრძოლა მოხდა. მტრის საფრენი ძირს ჩამოვაგდეთ. მფრინავმა პრონიმ ეს მე 14 ე ჩამოაგდო. საფრენებიდან ყუმბარები დაუშინეთ: ნაბრინეს, სკოპის და პოტტელიანოს; მტრის ჩვენ მფრინავებს სროლა აუტეხა დევნა დაუწყო, მაგრამ მაინც უვნებლად დაბრუნდნენ. მტრის მფრინავმა კარდევოლლეს ველზე, ზედა ვანონში, ჰოლმეცოს ახლო და ქვედა იზონცოს დაიჭრა რამდენიმე კაცი, ზარალი არის.

### მაკედონიის ასპარეზი.

**ლონდონი.** 20 ოქტომბერი. ბრიტანიის ოფიციალური მაკედონიიდან სტრუმაზე, მიუხედავად კოკისპირულ წვიმისა, ჩვენ საარტილერიო მომზადების შემდეგ იერიშით ავიღეთ ბარაკლი დჟუმა, დავატყვევეთ 300 კაცი. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. (?) სამხრეთით სოფ. პროზენიკა კუაპლიდან მტერი განვდევნეთ და 14 კაცი დავატყვევეთ.

**სოლუნი.** 19 ოქტომბერი. სერბეთის მთავარი ბანაკის ცნობა. სოფ. ბუდიმირცთან მტრის იერიში მოვიგერიეთ. მდ. წრნას მარცხენა ნაპირზე ზარბაზნების სროლაა. აქ წინ წავიწიეთ და მტრის რამდენიმე სანგარი ხელთ ვიგდეთ. სოფ. გრუნიშტე უკვე რამოდენიმე დღე ფრანგების ხელშია.

### დასავლეთის ასპარეზი.

**ლონდონი** 20 ოქტომბერი. ბრიტანიის მთავარი ბანაკის ცნობა საფრანგეთიდან. ღამეს აღმოსავლეთით დღისით ფრანგებთან ერთად გერმანელებზე იერიში მივიტანეთ და რამდენიმედ წინ წავიწიეთ; გერმანელებმა ზარბაზნების მკაცრი სროლა აგვიტეხეს როშის ტყისა, და გედეკურის შუა და შვაბენის რედუტთან. დილით გიულლუხის სამხრეთით გერმანელთა სანგრებს მარჯვედ ვუშენდით. ანკრის დასავლეთით მტრის თავდასხმა ადვილათ მოვიგერიეთ. ჩვენმა ფრინავებმა გერმანელები მარჯვედ დაზვერეს და მათ ბატარეებს ყუმბარები დაუშინეს. მოწინაამდეგის ერთი მფრინავი ვაიძულეთ დაბლა დაშვებულიყო. ინგლისელთა ერთი საფრენი არ დაბრუნებულა.

### რუმინიის ასპარეზი.

**ბუქარესტი** 20 ოქტომბერი. [illegible] მდგომარეობა უცვლელია. [illegible] და პრედეალთან მცირე ბრძოლებია. პრახოვას ველზე, უნგიამარესთან მოწინააღმდეგის იერიში მოვიგერიეთ; მარცხენა ფრთაზე დრაგოსლავესთან ბრძოლა გრძელდება; ჩვენ წინ წავიწიეთ და 36 კაცი დავატყვევეთ. ალიუტის მარცხენა ნაპირზე სასტიკი ბრძოლა გრძელდება. ჟიუს ველზე მოწინააღმდეგეს კვლავ ვდევნით. ჩვენ დავატყვევეთ (?) აფიცერი და 606 ჯარის კაცი და ხელთ ვიგდეთ დიდი ძალი სამხედრო მასალა. სამხრეთის ბრძოლის პირზე მდგომარეობა უცვლელია.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

პეტროგრადიდან მიღებულ ცნობების მიხედვით ჩერნოგორიაში აჯანყება გრძელდება. სამი გარნიზონისათვის ჩერნოგორელებს იარაღი აუყრიათ.

გერმანელებს 100 ათასი კაცი კარპატებიდან ტრანსილვანიაში გადაუყვანიათ.

დობრუჯაში გერმანელებს აუარებელი რკინიგზის ლიანდაგები და სხვა საჭირო მასალა გაუგზავნიათ რკინისგზების გაყვანის დასაჩქარებლად.

გერმანიის წყალქვეშები ნამეტნავად მკაცრად ეპყრობიან ნორვეგიის გემებს და დღე ისე არ გავა, რომ ერთი ან ორი გემი არ ჩაძირონ.

ავსტრიელებს აზრად ჰქონიათ ყველა ჰლექიანი სამხედრო ტყვე თავის სამშობლოში დააბრუნონ.

რუსების სპარსეთში გამარჯვების გამო გაზ. „დენ“-ში ს. დიმიტრიევი სხვათა შორის სწერს: „რა სტრატეგიული ფასი უნდა ჰქონდეს სპარსეთის სამხრეთ ნაწილს მას აქეთ, რაც გერმანეთმა ხელი აიღო ინდოეთისაკენ გალაშქრების ფიქრზე და რუსებმა კი მცირე აზიაში დასავლეთით შორს გაიწიეს“ო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

**კავკასიის ასპარეზი.** საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**დასავლეთის ასპარეზი.** ლებესთან ინგლისელებმა ადგილობრივ ხასიათის იერიში აწარმოვეს და რამდენიმედ წინ წაიწიეს, გერმანელებმა ზარბაზნების მკაცრი სროლით უპასუხეს. მიულუზის სამხრეთით ინგლისელებმა გერმანელებს ზარბაზნები დაუშინეს. გერმანელებსა და ფრანგებს თითო საფრენი დაეღუპათ.

**რუმინიის ასპარეზი.** პრედეალთან მცირე ბრძოლა მოხდა. დასაგოსლოველთან ბრძოლის შემდეგ რუმინელებმა წინ წაიწიეს. მდ. ალიუტის მარცხენა ნაპირზე სასტიკი ბრძოლა გრძელდება. მდ. ჟიუს ველზე რუმინელები ავსტრიელებს უკან ახევინებენ. დობრუჯაში მდგომარეობა უცვლელია.

**იტალიის ასპარეზი.** მთელ ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლაა. ავსტრიელებმა 2 საფრენი დაჰკარგეს.

**მაკედონიის ასპარეზი.** ბევრ ალაგას საარტილერიო ბრძოლაა გაჩაღებული. მდ. წრნაზე სერბიელებმა ოდნავ წინ წაიწიეს. სოფ. ბარული დრუმა ინგლისელებმა იერიშით აიღეს; ინგლისელებმა სოფ. პროზენიკიდან ბულგარელები განდევნეს.

# ასი წლის თავზე...

## (ნ. ბარათაშვილი)

მზიანობს იგი... ივერიის ყვავილოვან მთით,
და მჩქეფარებენ ლექსნი მისნი ძლიერის განცდით;—
ამაყი სული გარდაქმნილა მისი ძიებად,
ბარათაშვილი ვარდ-ყვავილობს ივერთ დიდებად...—

—

ვით მისწვდებიან მის გულისთქმას ცეცხლად ანაფეთქს,
და მის მწარ ცრემლებს სიყვარულის თვალით მონახეთქს,
მის წმინდა სურვილს აფოლადებს მისივ ნაღველი,
და სიტყვა მისი ბრილიანტობს ვით მზე—ნათელი...

—

ქუთაისი
21 ოქტომბერი.

დღეს ქართვლის დედას უსვენია იგი თვის მკლავზე,
და ჩვენც დიდებით ვიხსენიებთ ასი წლის თავზე..

**ლადო მაჭავარიანი.**

„ბირჟ. ვედომ“-ის სამხედრო მიმომხილველი იმ აზრისაა, რომ რუმინიის ასპარეზზე კვლავ უნდა ასტყდეს დიდი ბრძოლები: „ყველა ასპარეზებზე მებრძოლმა მხარეებმა სიმაგრეთა ძლიერი კედლები აღმართეს და მხოლოდ რუმინია შეადგენს გამონაკლისს. აქ თავისუფლად შეიძლება სამანევრო ბრძოლების წარმოება. ეჭვი არ არის, რომ ბრძოლის პირი ან შავ ზღვას უნდა მიებჯინოს, როგორც ეს ბალტიის ზღვასთან მოხდა, ან და, თუ გერმანელებს ძალები არ ეყოფათ, უკან დაიხევენ ისინი.

—

მოკავშირეები დაჰპირებიან მეფე კონსტანტინეს, რომ ვენიზელოსის მთავრობა საბერძნეთის შინაურ ცხოვრებაში არ ჩაერევა და იგი დაკმაყოფილდება იმით, რომ ბულგარეთთან საომრად მოხალისეთა რაზმებს შეადგენს. თავის მხრით მეფემ აღუთქვა მოკავშირეებს, რომ ის იმაში ვენიზელოსს ხელს არ შეუშლის.

—

მოსკოვის გაზეთების მიმომხილველნი ტრა- [illegible] მედგრად იცავენ მთის გასავლებს, მაგრამ გერმანელები ჯარებს მოიშველიებენ და ვიდრე ზამთარი დადგებოდეს ეცდებიან გადამწყვეტ შედეგს მიაღწიონ.

# სამხედრო მიმოხილვა.

დობრუჯისა და ტრანსილვანიის ბრძოლის პირებზე გერმანელ-ავსტრიელ-ბულგარელთა მოულოდნელი და უცები შეჩერება ყველას აკვირვებს და ვერ გაუგიათ თუ ამისთანა ხელსაყრელ პირობებში მყოფ თავის ჯარს ცენტრალ კოალიციის მთავრ სარდლობამ რათ გასცა შეჩერების ბრძანება.

მაშინ, როდესაც ფალკენჰაინის ჯარი ვალახიაში საგრძნობლად შეიჭრა, ხოლო გენ. ტოშევმა კი დობრუჯის ხელში ჩაგდებით შორით შემოუარა ვალახიას, ზურგით მოეცა რუმინიის ტრანსილვანიის საზღვრებზე მომქმედ ჯარს, სწორედ ამ დროს შეჩერდნენ შესეულნი.

ამის ახსნა გერმანელთა ჯარის სიმცირით რა საკვირველია არ შეიძლება;

გერმანელებმა, რითაც კი შეეძლოთ, გაამრავლეს თვის ჯარი და საქმე აქამდის მიიყვანეს, რომ თვის ჯარს ზურგის ახლოც კი ტრანსპორტებზე და სხავადმყოფოებში ჯარის კაცების მაგივრად ქალები დააყენეს.

[illegible] ქველად დაისახეს მიზნად რუმინიის გასრესი, ამის განსახორციელებლად არაფერს დაიშურებენ

მაგრამ საქმე იმაშია, როდის მოხდება მათი აზრის განხორციელება და როდის განხორციელება;

თუ გერმანელებმა რუმინის გასანადგურებლად გაილაშქრეს, ეს იმას კი არ ნიშნავს რომ დაწყებული საქმე ეხლავე დაასრულონ.

მით უმეტეს, რომ რუმინიის წინააღმდეგ ბრძოლების დაწყების დედაზრი უეჭველად რუმინიის გასრესა კი არა, არამედ ბალკანეთის ყელის, ამ ცენტრალ კოალიციის ძლიერების ხერხემლის გადარჩენა იყო და რუმინიაში შესევა კი, ასე ვთქვათ, ხერხი, საშვალება იყო მთავარი მიზნის ბალკანეთის ყელის უზრუნველ ყოფისათვის.

გერმანელების მოქმედებას მუდამ დიდი დაკვირვება და ყოველგვარ შესაძლებლობის წინასწარი გათვალისწინება ახასიათებდა.

და ეხლაც ამასვე აღგია გერმანიის გენერალურ შტაბის ყოფილი უფროსი, გეგმების დახელოვნებული შემადგენელი, გენ. ფალკენჰაინი.

დროზედ წერტილის დასმა და დროით შეჩერება — აი რას ვამჩნევთ მუდამ გერმანელთა მოქმედებაში.

ასევეა ეხლაც; გერმანელები რჩებიან მცირედით დაკმაყოფილდნენ და რუმინიის გასრესა შემდეგისათვის გადადონ, დროებით მაინც.

ეჭვი არ არის, ახლო მომავალი გვაჩვენებს რისთვის დასჭირდათ მათ შეჩერება და საით მიუმართავთ მათ თავის ყურადღება.

მხოლოდ დღეს ერთი რომ ცხადია:

ბალკანეთზე გერმანელებმა მიაღწიეს თავის მთავარ მიზანს, ბალკანეთის ყელს თავიდან ხიფათი ააცდინეს, დობრუჯაში რუსისა და რუმინიის ჯარი შორს უკან დასწიეს; ხოლო დობრუჯის დასაბრუნებლად ბრძოლის დაწყება რუსებს ჯერ არ ძალუძთ რადგანაც ვოლინში კოველის წინ და ბროდთან გერმანელები მედგრად უტევენ რუსებს

მჯერელი

# ნიკოლოზ ბარათაშვილი.

თვით უკვდავება მშვენიერსა
სულში მდგომარებს;
მას ვერც შემთხვევა ჴ ვერც ხანი
ვერ დააბერებს.

**ნ. ბარათაშვილი.**

I.

დღეს, 22 ოქტომბერს ასი წელიწადი შესრულდა ჩვენი დიდებული მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების დღიდან. ერთი საუკუნეა მას შემდეგ, რაც აღმობრწყინდა ბრწყინვალე ვარსკვლავი ქართული პოეზიისა.

— ნიკოლოზ ბარათაშვილი — რა ბევრ რამეს ეუბნება ეს წმინდა სახელი მრავალ ტანჯულ საქართველოს შვილებს.

და აი, ამ დროს, როდესაც გაისმის ზარბაზნების ჭექა გრგვინვა და ამ დროს, დროს სისხლის ღვრისა, ცრემლთა ფრქვევისა, მწუხარებისა და ვაებისა, როდესაც მსოფლიო ომის ბრძოლის ველზე ურიცხვ ადამიანებთან ერთად ომის ღმერთს მსხვერპლად ეწირება აურაცხელი და განუზომელი ნივთიერი და სულიერი სიმდიდრე, განათლებული კაცობრიობის შემოქმედების ნაყოფი, როდესაც ჩვენი ტანჯული ქვეყნის რამდენიმე ასი ათასი შვილი სხვადასხვა ბრძოლის ასპარეზებზე, უცხო ქვეყნების ველმინდორსა, კლდეებსა და ტყეებში სისხლისაგან იცლებიან და ესალმებიან სიცოცხლეს, ჩვენ უნდა მოვიგონოთ ის, ვინც იტანჯოდა სამშობლოს მწარე ბედით, ვინცა ჰგოდებდა საკაცობრიო მწუხარებით, ვინც იწოდა ღვთიური ცეცხლით მამულიშვილის გრძნობით და ვის მშვენიერ ლექსებშიც გაისმის ციური ჰანგი, სალმრთო ჰარმონიული ჰიმნი ერისა და კაცობრიობის უკვდავებაზე და სილამაზესა და მშვენიერებაზე.

II.

ნ. ბარათაშვილი — ეს მე XIX საუკუნის ჩვენი უდიდესი პოეტი დაიბადა 1816 წ. 22 ნოემბერს ქ. თფილისში. იგი იყო თფილისის მაზრის მარშლის თ-დ მელიტონ ბარათაშვილის შვილი. დედა მისი იყო თ-დ დიმიტრი ორბელიანის ასული და დაი პოეტის გრიგოლ ორბელიანისა. შვიდი წლის ტატო (ასე ეძახდენ მას ბავშობაში) მშობლებმა მიაბარეს თბილისის კალო უბნის სამრევლო სკოლაში. შემდეგ გადაიყვანეს კეთილშობილთა სასწავლებელ—პანსიონში, რომელიც 1830 წ. გადააკეთეს გიმნაზიათ. იქ იგი სწავლობდა კარგათ და გაათავა კიდეც. შემდეგ, რადგან უმაღლეს სასწავლებელში ვერ შევიდა უსახსრობისა გამო და ვერ განწესდა ვერც სამხედრო სამსახურში, ვინაიდან ბავშობისას ფეხი მოიტეხა და კოჭლი იყო, დამორჩილდა ბედს და შევიდა სამოქალაქო სამსახურში, რაშიაც მან მიაღწია მაზრის უფროსის თანაშემწეობამდე. ამ თანამდებობას, 1844 წ. ასრულებდა იგი ნახჩევანში. 1845 წ. გადაიყვანეს განჯაში, სადაც გახდა ავათ და იმავე წელს 9 ნოემბერს გადაიცვალა უცოლშვილო 29 წლისა. დაასაფლავეს განჯაშივე და მით აუხდა თავისივე წინასწარმეტყველება:

„მოჰკვდები, ვერ ვნახავ
ცრემლსა მე მშობლიურს.
მის ნაცვლად ცა-ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს-“ო.

III.

თუ როგორ აფასებდენ ნიკოლოზ ბარათაშვილს მისი დროის მოწინავე შეგნებული ქართველები, ეს სჩანს თ-დ ლევან მელიქიშვილის წერილიდან, იმლ. მელიქიშვილისა, რომელმაც სახელი გაითქვა, როგორც გამოჩენილმა სარდალმა, გახდა გენერალ-ადიუტანტი და თანაშემწე მეფის ნაცვლის დიდის მთავრის მიხეილისა.

# ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი ლექსები*.

„ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები — ქართულ პირველ ჟურნალ „ცისკრის“ დაარსებამდე — 1852 წ. ხელნაწერებით [illegible] ნალი: „ცისკარი“ „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“ და კრებული“ დრო გამოშვებით ბეჭდავდა ნ. ბარათაშვილის წვრილმან ლექსებს და პოემა „ბედი ქართლისა“-ს ნაწყვეტებს. მაშინ, ის პირები, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებდენ ქართულ მწერლობას, შენიშნავდენ, რომ ის ოცი ოც-და ათიოდე ლექსები, რომელნიც ხელმოწერილნი იყვნენ „ნ. ბარათაშვილის“ სახელით, დიდათ ნიჭიერისა და გრძნობიერი პოეტის ნაწერი უნდა ყოფილიყო; მართლაც, მისი მოსიყვარულე სული, ბედზე ჩივილი და კაცობრიული იდეალებისაკენ მისწრაფება, სულ არ ეთანხმება წინანდელი დროის ქართულ პოეზიას, რომელიც მხოლოდ სილამაზესა და სიყვარულს დამღეროდა. განსაკუთრებული თვისება ნ. ბარათაშვილის პოეზიისა ისაა, რომ მისი ლექსები ისეთის აზრით და გრძნობით არის დაწერილი, ისეთის ძლიერის სიტყვებითაა გამოთქმულ-გამოხატული, რომ ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს... ამიტომ, თუ სახეში მივიღებთ ქართულ მწერლობის მდგომარეობას ნ. ბარათაშვილის დროს და განსაკუთრებით მაშინდელ პოეტების აზრს, პოეზიასა და მის დანიშნულებაზე, — მაშინ სამართლიანმა და უტყუარმა კრიტიკამ უნდა აღიაროს ნ. ბ. ქარ მწერლობის ჭეშმარიტ განმაახლებლათ. წინანდელი პოეტების ლექსები მხოლო, ღვინოსა და სატრფოს დასტრიალებდა. თითქ-ის სულ-მნათი რუს- [illegible] ლმა პოეტმა ვერ შეითვისა და ვერ შეიხორცა ის აზრი, რომ პოეზია მხოლოდ სატრფიალო და ქალის სიყვარულის გამოსაკვანძათ არ არის გაჩენილი... მართალია სხვა და სხვა დროს გარეგანი ფორმა ლექსებისა ვიიარდებოდა, ლექსი ტირილს — სიცილად, აღტაცებულ-აღფრთოვანებულ სიხარულს — ვედრება-აჯად გარდააქცევდა ხოლმე, მაგრამ შინაარსით, აზრით მაინც ერთი და იგივე გამოდიოდა. იშვიათი იყო ისეთი მწერალი, რომელიც თავის ლექსებში, დრო-ჟამის ვითარებასა და სიავეს შეეხებოდა და არც ერთს გარდა დ. გურამიშვილისა, არ გაუბედია გამოეთქვა ლექსებით ცხოველი აზრი-თავისი დროის ცხოვრების სხვა და სხვა საგნებზე. მაშასადამე ცხადია ასეთ მწერლობაში რა დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ ნიჭიერ პოეტს, რომელმაც პირველად გაბედა გაემსჭვალა თვისი ლექსები დრო-ჟამის ცოცხალის მოტივით და გამოეთქვა მაშინდელ საუკეთესო კაცთა გუმანი, გულის ნადები და მისწრაფებანი.

მარტო ეს გვიჩვენებს ნ. ბარათაშვილის ორიგინალურს თავისებურს მგოსნობას, რის გამოც ეჭვი არაა ის განკერძოებულად უნდა დარჩენილიყო სამშობლო მწერლობაში. მაგრამ ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა და შემუშავებაც ორიგინალურია, თავისებური. მართალია მისი ლექსი ისე მსუბუქი არ არის, როგორც სატრფიალო ლექსები ა. ჭავჭავაძისა, მაგრამ ისე ტკბილ ხმოვანია და ენერგული, რომ იმათი მსგავსი წინეთ არა დაწერილა რა ქართულ ლიტერატურაში. ნ. ბარათაშვილს არ [illegible] ამიტომ იმისი ლექსი გარეგან ფორმით ძლიერ მოკლეთ, მოჭრით გამოთქმულია და საზოგადოთ ისეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, როგორც ლექსნი რუსეთის დიდებულ პოეტ ლერმონტოვისა ჩვეიპოეტის ლექსი, როგორც ლერმონტოვისა ძლიერი

* Тифлисскій Вѣстникъ 1893 г. თარგ. რუსულიდან, გადმობეჭდილია 1893 წ. „ივერია“დან.

მგოსან ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებისა გამო თ-დი ლევან მელიქიშვილი გულდათუთქული სწერდა გრიგოლ ორბელიანს: „სამძიმოა, ჩემო გრიგოლ, სამძიმო, დაკარგვა კაცისა, რომელიც თავისი გამთბარი სულით და გულით გვაერთებდა ადამიანებთან, ამ უძლურს და ბოროტ ქმნილებებთან. სამძიმოა სულით დაობლება. მარტო მე არ დამიკარგავს ეს დაკარგი. საქართველომ დაჰკარგა იმაში კაცი, რომელსაც იგი უყვარდა მთელის ოლქურის გულით და რომელიც ამ სიყვარულს ყველა თავის მოვალეობაზე მაღლა აყენებდა, ახალგაზდა კაცი სავსე მშვენიერის და ბწყინვალე ნიჭით, რომლისაგანაც გამოელოდა მეტს, ვიდრე რომელიმე სხვა ეხლანდელი ახალგაზდა შვილისაგან მშობლებმა დაჰკარგეს იმაში თავიანთი მოხუცებულობის დროს მთელი ოჯახის ბურჯი, ნათესავებ კეთილი ნათესავი, ქართველებმა ერთი საუკეთესო თანამოძმეთაგანი. იქნება ცოდავდე, მაგრამ არ შემიძლია არ ვსთქვა, სად არის ის ზენაარი სამართალი, რომელზედაც ყოველდღე გველაპარაკებიან. რატომ წაერთვა ასე უდროოთ ადამიანებს მეგობარი, სამშობლოს მისი ნიჭით აღსავსე მოსიყვარულე შვილი, მშობლებს სიცოცხლით აღსავსე და მოსიყვარულე ბურჯი. აბა მითხარი სად არის აქ სამართალი“ო და სხ...

IV

პოეტის გარდაცვალების შემდეგ, დიდი, ძალიან დიდი ხანს ჰყო მისი სამარე „მიტოვებული და მივიწყებული. მას მართლაც არ ღირსებია „ცრემლი მშობლიური“ და მთელი 4 წლის განმავლობაში უცხოეთში „ეფრქვეოდა ცვარი ციური“ო მაგრამ მას ვერ დაივიწყებდა სამუდამოთ მისი სამშობლო, რომლის შვილებსაც მისმა მშვენიერმა ლექსებმა აღუნთეს გაუქრობელი ცეცხლი ეროვნული გრძნობისა. და აი, ქართველი საზოგადოება მომწიფდა რა საერო საქმეებისათვის, თვალი მიაპყრო სასიქადულო მგოსნისა და მამულიშვილის სამარეს. შესდგა კომიტეტი, რომელმაც ითავა მგოსნის ნეშთის გადმოსვენება განჯიდან თბილისში. საჭირო თანხა ამ საქმისათვის თვით ქართველმა საზოგადოებამ გამოიღო და 1893 წ. 25 აპრილს ქართველობამ პოეტი ნ. ბარათაშვილის ნეშთი დიდის ამბით გადმოასვენა განჯიდან და მიაბარა მიწას თბილისში, დიდუბის საყდრის ეზოში, სადაც დაესწრო ჩვენი ქვეყნის ყოველი მხრიდან დაბა სოფლებიდან და ქალაქებიდან მოსული სხვადასხვა დაწესებულებათა და წოდებათა დეპუტაციები. იყვნენ წარმომადგენელნი, როგორც რუსთა ისე სომეხთა ინტელიგენციისაგან სიტყვები წარმოსთქვეს ჩვენმა დიდებულმა მგოსნებმა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და სხვა მრავალმა წარმომადგენლებმა ქართულად, რუსულად და სომხურად.

რამდენიმე ხნის შემდეგ დიდუბის საყდრის ეზოში, სამარეზე მგოსანს ქართველმა საზოგადოებამ აუგო ჩინებული ძეგლი, რომელიც იპყრობს მნახველის განსაკუთრებულ ყურადღებას.

V.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოების მნიშვნელობა დიდია ჩვენს ლიტერატურაში. ეს არ გამოჰპარვია ჩვენი ცხოვრების და მწერლობის ღრმად მცოდნეს და ფხიზელ მეთვალყურეს კრიტიკოს-პუბლიცისტს ბ-ნს ნ. ნიკოლაძეს, რომელმაც 1876 წ „Тифлисскій Вѣстникъ“-ში საფუძვლიანი წერილი მოათავსა მის შესახებ. პოეტის ნეშთის გადმოსვენების დროს და მას შემდეგაც მრავალი წერილები დაიბეჭდა, რომლებშიაც ეხებოდენ და არკვევდენ მის ნაწარმოებს. და ყოველივე ეს ხდებოდა იმიტომ რომ მგოსნის უკვდავმა ლექსებმა პოლიტიკური დამონების შემდეგ პირველად ჩააშუქეს დაჩაგრული ქართველის სულში. პირველათ აღუნთეს მას გული სამშობლოს სიყვარულისა და საკაცობრიო იდეალებისათვის.

ნ. ბარათაშვილის ლექსები იქცა გულის მოსაოხებელ სიმღერებათ. ისინი გამოიცა თუ არ ვცდები ვგონებ მეათეჯერ, რაიცა „ვეფხის ტყაოსანს“ გარდა ჯერ არ ღირსებია არც ერთი ქართველი მგოსნის ნაწერებს. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები თითქმის სულყველა გადათარგმნეს რუსულ და სხვა ევროპიულ ენებზე.

ნ ბარათაშვილი გახდა მამათ მთავარი გასული საუკუნის ქართული ლირიკული პოეზიის წარმომადგენლებისა. იგი იყო პირველი ქარველი მგოსანი რომელიც გაიმსჭვალა მოქალაქური სულით, მსოფლიო წყლულებით და მისცა ტონი ჩვენს მშობლიურ მწერლობაში ევროპის ლიტერატურას. მის ნაწარმოებში წითელი ზოლივით გატარებულია პატრიოტიზმი, ზნეობრივი სტოიციზმი, ფილოსოფიური კითხვები და პესიმიზმი, რაიცა მომასწავებელი იყო ქართველი ერის უმაღლეს ცივილიზაციისკენ მისწრაფებისა.

VI.

ჩვენ მოკლეთ შევჩერდებით ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ხასიათზე და მის დედა აზრებზე.

ეროვნული თვითცნობიერება ჩვენში, როგორც ეს ჩვენი დროის ქართველ ინტელიგენციას ესმის, ფეხს იკიდებს ნ. ბარათაშვილის დროიდან და იწყება ბარათაშვილით.

ევროპაში საფრანგეთის რევოლიუციით გამოწვეულ ეროვნულ მოძრაობას შეხვდა პირისპირ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური სიკვდილი, რაც იყო პირდაპირი შედეგი ჩვენი ისტორიული მსვლელობისა და 1795

და მკვეთრია, იმ გვარადვე მოკლედ გამოხატულია; წვრილმანების სრულ უყურადღებობით და იმნაირადვეა გამოკვეთილი თითქო, ჩაქუჩსა სცემს მკითხველს თავში და უნდა ღრმად ჩაუსვას, ჩააგონოს თავისი აზრი. კიდეც ამიტომ ქართველს ნ. ბარათაშვილის ლექსებიდან მრავალი ანდაზები და აფორიზმები ამოუღია. ეს ხომ უტყუარი საბუთია, რომ ძალა ნ. ბარათაშვილის ნიჭისა, ტალანტისა ძლიერ დიდია... ნ. ბარათაშვილის ლექსები გარეგან ფორმით წლითი-წლობით უკეთესდებოდა, ვითარდებოდა და ძლიერდებოდა. უფრო მკვეთრი, უფრო ენერგული და მოკლედ მოჭრილი გამოდიოდა. 1845 წ. სიკვდილის წინეთ, ხომ ისეთ ლექსი დაგვიწერა სულ-მნათმა, რომთამამათ შეგვიძლია ხალხის პოეზიისა და გენიოსობის ნაწარმოებად მივიღოთ. ქართულ მწერლობაში პირველათ ამ ლექსმა შეითვისა ხალხური სასაუბრო ენა, ხალხური გამოთქმა, ხალხური კილო—ერთის სიტყვით, ქართულმა სახალხო პოეზიამ ამ ლექსში ჰპოვა თავისი ჭეშმარიტი სახე ამასთანავე, თუ სახეში მივიღებთ, ერთი მხრით, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსი თან და-თან უკეთესდებოდა და მეორე მხრივ სულ-მნათი პოეტი ძლიერ ადრე, მეტად ყმაწვილი გამოესალმა წუთი სოფელს,—მაშინ კიდევ ერთ მსგავსებას ვიპოვით მას და ლერმონტოვის შორის. უთუოდ ჩვენი პოეტი, როგორც ლერმონტოვი, სამშობლო პოეზიისა და მწერლობის განვითარების საქმეს უდიდესს და უძვირფასს იმედს უქადდა და, თუ დასცლოდა მას მომეტებულ ხანს სიცოცხლე, მაშინ მისი ნიჭი, ტალანტი, ისე განვითარდებოდა და მისი მოღვაწეობა მწერლობაში ისე განმტკიცდებოდა, რომ შარს დატოვებდა და ძლიერაც დაჩრდილავდა ყოველსავე მას, რაც ყმაწვილობის დროს უწერია პოეტს და რაც ეხლა შეადგენს საუკეთესო განძს ქართულ პოეზიასა და მწერლობისათვის".

ნ. ნიკოლაძე.

სულ კვირას ვლ. ემუხვარმა ავათმყოფობის გამო ვერ წაიკითხა, წაიკითხავს კვირას 24 ოქტომბერს თემაზე „ფულის ტრიალი". მეორე ლექციას წაიკითხავს გიორგი ნიორაძე შემდეგ თემაზე „თანამედროვე ოსმალეთი". ლექციები დაიწყება შუადღის 12 საათზე

✦ 19 ოქტომბერს დღიძის სასადილოში სადილობის დროს ალ. ლორთქიფანიძეს, ნიკო სოხაძეს და ილიკო ლორთქიფანიძეს აუტეხეს ჩხუბი ღ ვინით გალეშილმა ტიტიკო უგრეხელიძემ და ჭიჭიკო ხვედელიძემ და დასჭრეს დანით ალ. ლორთქიფანიძე ზურგში, სოხაძე თავში ხოლო ილიკო ლორთქიფანიძე მკერდში.

✦ გუშინ ქალაქში სოფლებიდან სახლში ამოხვეული აბრეშუმი ბევრი შემოიტანეს გასაყიდად აბრეშუმი პირველი ხარისხის კვერცხი, მეორე გირვანქა, იყიდებოდა 1 მ. და 20 კ—დან 1 მ. და 40 კ.—დე, მეორე ხარისხის 1მ.—10 კ. დან 1 მ.—დე, მესამე ხარისხის 90 კ.—დან 1 მ.—დე.

✦ ხვალ ქალაქის თეატრში, დრ, დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ვალ. გუნის დრამა „ორი გმირი" და ერთ მოქმედებიანი კომედი "გამარჯვებულებს არ სჯიან" თარგ. ვ. აბაშიძისა. კვირას წარმოდგენილი იქნება „ვილჰელმ ენშელი" ჰაუპტმანის დრამა ვ. გუნიას ნათარგმნი.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო გაიხსნას სოფელ ბაში (ქუთაისის მაზრა) სამკითხველო.

**სოფლად და ქალაქად.**

— დიდი ჯიხაიში საქონლის ჭირია გაჩენილი. საჭიროა დახმარება.

— ბათუმში პური საკმაოთ აღარ ცხვება. თეთრი პურის შავნა სულ შეუძლებელია, იყიდება მხოლოდ შავი და ისიც ნახევრად ცომიო.

✦ ყურძენი სოფლებიდან ამ ჟამათ შედარებით ცოტა შემოდის ბაზარზე. გუშინდელი ცნობით ყურძენი ფუთი ფასობდა პირველი ხარისხის 6 მან. მეორე 5 მ. მესამე 4 მ. და 50 კ.

ბესარიონ ვასილის ძე გვახარია თავის შვილებით და ძმით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 23 ოქტომბერს, ქუთაისის საფირჩხიის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

ზესნა (იგივე ესმა) სპირიდონ გაგუნიას ასულის

გვახარიას

სულის მოსახსენებლად.

გულ-დათუთქული ქვრივი ქრისტინე იესეს ასული ლუკიანოვისა, შვილები: თამარ დავითის ასული თევზაძისა, ალექსანდრე, ნიკოლოზი, სერგო, ლუარსაბი, სიძე ილია მოსეს ძე თევზაძე და ცოლისძმა ვიქტორ იესეს ძე ავალიანი მეუღლითურთ და რძალი პელაგია სიმონის ასული ავალიანისა ვაუწყებთ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ რომ კვირას 23 ოქტომბერს დილის 9 საათზე ძველ სობოროში ეპისკოპოსის მიერ გადახდილ იქნება წესის აგება და პანაშვიდი გარდაცვალებულის ნადვორნი სოვეტნიკის, სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის

დავით სიმონის ძის ლუკიანოვის

სულის მოსახსენებლათ.

# ახალი ამბავი.

ორშაბათს, 24 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში, საღამოს რვა საათზე დანიშნულია საბჭოს სხდომა, მორიგი საკითხების გამოსარკვევად. ეს სხდომა ახლა მესამეჯერ ინიშნება, რომელიც ხმოსნების დაუსწრებლობის გამო წინეთ არ შესდგა.

✦ ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომები, 21 ოქტომბერს, დასავლეთ საქართველოს აგრონომ ა. ვასილევსკის ხელმძღვანელობით გაემგზავრენ საექსკურსიოთ სამტრედიაში საცდელი მინდვრის სანახავად. ოზურგეთში, ჩაის დასამზადებელი ქარხნის საქმეების გასაცნობად. ბათუმის ოლქში, საცდელი მინდვრებისა და ბოტანიკური ბაღის დასათვალიერებლად. აგრონომების ექსკურსია გაგრძელდება ერთ კვირას, რის შემდეგ დაბრუნდებიან ქუთაისში.

✦ სამიწათ-მოქმედო დეპარტამენტმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა გასამრავლებლად კავკასიაში, გაიღო 20,000 მან., სამიწათ-მოქმედო დეპარტამენტი წინადადებით მიმართავს საერობო აგრონომიულ ორგანიზაციებს და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა გამგეობებს, რომ არსებულ სასოფლო სამეურნეო კურსების გარდა დაარსებულ იქნას კიდევ ხსენებული ტიპის კურსები განსაკუთრებით ომში დაშავებულ ჯარისკაცთათვის. ხელმძღვანელობა ამ საქმეების მოსაგვარებლად ქუთაისის გუბერნიაში, ბათუმის და სოხუმის ოლქებში მინდობილი აქვს მთავრობას აგრონომს, ბ. ვასილევსკის.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ ნაკადულის მორიგი ნომერი. მოზრდილთათვის № 13. მცირე წლოვანთათვის № 15 და 16. ჟურნალები ჩვეულებრივ შინაარსიანია.

✦ ხოლერამ ამ უკანასკნელ დღეებში იკლო, ეს სამი დღეა, რომ ქალაქში ხოლერით ავათ გახდომის შემთხვევა არ ყოფილა. სანიტარული ექიმის ცნობით გადამდებ სენიანთა ბარაკიდან ორი დღის განმავლობაში გამოეწერა 7 ხოლერიანი, დარჩენილია ბარაკში ხუთი ავათმყოფი, რომელთა მორჩენის იმედი არის.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში, ღამ-ღამობით ქუჩები სანახევროთ ბნელით არიან მოცულნი, ქალაქის გამგეობის ცნობით გაზიანი ფანრების აუნთებლობის მიზეზი, ხსენებული ფანრებისათვის აუცილებელი საგნების უქონლობა ყოფილა. არ ანთებენ არც ნავთის ფანრებს. კარგი იქნება ქალაქის გამგეობა ნავთის ფანრებით მაინც გაანათებდეს ქუჩებს.

✦ კვირას ქალაქის თეატრის დარბაზში, შესდგება ლექციების კითხვა. რადგან გა

# ნიკოლოზ ბარათაშვილი

(მისი დაბადების 100 წლის დღეობის გამო)

რომანტიზმს ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

რომანტიზმი სხვადასხვაა სხვადასხვა დროს ავალითად შოთა რუსთაველის რომანტიზმი—ქართულის ძლევამოსილი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და ქრისტიანულისა და აღმოსავლეთური კულტურის შენაწევრების განსახიერებას წარმოადგენს.

შოთა რუსთაველს ერთსადაიმავე დროს დედამიწაზედაც დაუბიჯებია ფეხი და ზეცასაც სწვდება და მისი იდეალი მიწერიც არის და ზეციერიც. ამიტომ, მისი პოეზია ლაღი, ძლიერი, საგმირო, ზეაღმაფრენ ღრმა და განმაკეთილშობილებელია.

მაშასადამე, შოთა რუსთაველი საუკეთესოს, თანშემწევ სახელმწიფოებრივ პირობათა მიერ შობილი ქართული გენიის უმაღლესი განვითარებაა.

სულ სხვაა—ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიზმი.

არა თუ ოცდამეათე-მეორმოცე წლები, როდესაც ნ. ბარათაშვილი ქმნიდა, არამედ მთელი მეცხრამეტე საუკუნე—ქართული ეროვნული ცხოვრების კრიზისად, დაავადებად, ჩაითვლება.

მეტადრე ხსენებული დრო იყო საშინელი. ერთი მხრით ბატონ-ყმობა, მეორე მხრით თავად-აზნაურობის განცხრომა და ფუფუნება! და იმავე დროს საყოველთაო შეუგნებლობა და სიბნელე. თითქმის არცერთი საიმედო, სანუგეშო მოვლენა! ნ. ბარათაშვილის რომანტიზმი ამ ცხოვრების უარმყოფელ ხმას, ანუ პროტესტს, წარმოადგენს. ქართულ პოეზიაში პირველი ასეთი ხმა—მისი ხმა იყო. და მისი ლიტერატურული სოციალური მნიშვნელობა სხვათა შორის ამ მხრითაც განუზომელია.

ნ. ბარათაშვილი ვერ შერიგებია, ჰგმობს გარეშე-მცველ ცხოვრებას, რომელიც იყო „მხოლოდ ამაოება", და ეძიებს გამოსავალ გზას. და მისი პოეზიის ხასიათს ყველაზე უკეთ გამოხატავს ლექსი: „მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი"...

ვინც საზოგადოებას უარყოფს და ბრძოლას უცხადებს, სულით ობლდება. თვალბედითი ყორანი დასჩხავის: მისი დამარცხება უეჭველია.

პოეტი ებრძვის ცხოვრების ავ პირობათ, ბოროტებას, სიდუხჭირეს—და არავითარ დაბრკოლებას არ ერიდება. ეს მოტივი მას ასე აქვს დასურათებული:

„გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი,
გერდაიარე კლდენი და ღრენი,
გაჰსწი. გაჰკურცხლე და შემიმოკლე
მოუთმენელსა სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო,
ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით
თავგანწირულსა შენსა მხედარსა".

მან იცის, რომ დამარცხდება და სიკვდილის შემდეგაც კი დაუტირებელი დარჩება. და ამას საშინელი სიტყვებით მოსთქვამს:

სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა,
ოხერსა,
დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
მივალალებენ სვავნი მყივარნი!".

მაგრამ მაინც მოვალედ სთვლის თავს აასრულოს თავისი მოქალაქური დანიშნულება და ამბობს:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირულის სულის—კვეთება!
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
შავი ბედის წინ გამოუქროლდეს!"

ამგვარად მან იცის, რომ მოქალაქური მუშაობა, როგორც არც არავითარი სხვა ძალი, არა ჰქრება და მონაცვლეობის კანონის მიხედვით შემდეგ თაობათ გზის სიძნელეს უადვილებს.

წ. ალამაჰმადხანის თავდასხმის. ეს პროცესი აქვს აღებული ნ. ბარათაშვილს თავის ისტ. პოემის „ბედი ქართლისას" თემათ. მასშია გატარებული მისი პატრიოტიზმი და უნდა ითქვას მისდა სასახელოთ, რომ თავის დროის და კვალად ასეთი ფართო შეხედულება სამშობლოს სიყვარულზე და ეროვნულ საკითხზე, არც ერთ მისი დროის ქართველ მგოსნებს არ მოეპოება.

. . . . . . . . . . . . . . . . .

VII

გადავიდეთ ჩვენი მგოსნის ზნეობრივ სტოიციზმზე. იმ დროს, როდესაც ჩვენი ლირიკული პოეზიის შინაარსს უმთავრესათ შეადგენდა ქალებისა და ღვინის ტრფიალი, რომელშიაც გამოსჭვივის ეროტიულ-ლოთური გრძნობანი, იმ დროს, როდესაც გასული საუკუნის ჩვენი მეორმოცე კი არა მესამოცე და მეოთხმოცე წლების მგოსნები ქალში უმთავრესად ჰხედავენ ვნებათა დატკბობის იარაღს, სასიამოვნო სახმარ ნივთს და თუ მიმართავდენ მას თავიანთ სასიყვარულო ლექსებში, მარტო ოდენ ეროტიულ გრძნობაზე, აჟღერებდენ თავიანთ ჩანგის სიმებს, ნ. ბარათაშვილი ქალში ეძებს ეტრფის და ეთაყვანება ზნეობრივ სიფაქიზეს და სულიერ სილამაზეს. იგი მიმართავს თავის სულის სწორს, სათაყვანებელ არსებას:

„სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი
მშვენიერნი ცრემლით ჰკრთოდენ,
და ბაგენი მდუმარენი
ხვაშიადსა მიმალვიდენ!
მაგრამ, სულო იგი ცრემლი
არ სტიროდა ამ სოფელსა;
სახე შენი მოწყენილი
არა ჰგავდა ხორციელსა!
აწ მივხვდი მე უბედური
თვალთა შენთა მეტყველებას,
თურმე ცრემლი უცნაური
მოელოდა ჩემს ობლობას!
ახლაც ოდეს ვნახავ სადმე
ცრემლსა თვალთა მშვენიერთა
გულამოსკვნით ვიგონებ მე
დღეთა ჩემთა ბედნიერთა!"

ამ ლექსში პოეტს ისეთი ფაქიზი და წმინდა გრძნობა აქვს გამოთქმული, რომ ამის ბადალს ვერ ვპოულობთ ჩვენს ლირიკულ პოეზიაში.

სულის სიმშვენიერის სხეულის სილამაზეზე და ფაქიზი ზნეობის სქესობრივ მოთხოვნილებაზე მაღლა დაყენებით ნ. ბარათაშვილი ჩვენ მიგვაჩნია ერთად ერთ ზნეობრივ სტოიციზმის მაღიარებლად, რომელმაც თავის მშვენიერ ლექსებში მისცა ფორმა და შეიტანა ჩვენს ლიტერატურაში.

VIII

არა ნაკლებ საყურადღებოა ჩვენი მგოსნის ნაწარმოებში ფილოსოფიური კითხვები.

თუ რომ—ვამბობთ—ბაირონის პოეზიაში არის ისეთი ფილოსოფიური კითხვები, რომელნიც საუკუნოთ დარჩებიან გადუწყვეტელნი, არის სამარადისო ჩვენი გულისა დაგონების მმუსრავი მწვავე გრძნობები და აზრები, არც ნ. ბარათაშვილის პოეზიაა მას მოკლებული, რაოდენიმეთ მაინც. ჩვენი მგოსანი თავის ლექსებში ხშირად ჩერდება ჩვენი ცხოვრების დედა აზრზე და როგორც ცხოვრებას ღრმად მცოდნე და მასში გამობრძმედილი ყოველთვის იჩენს საღ აზრსა და ფხიზელ გონებას მის ახსნა რკვევაში. იგი ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირად" ეხება საჭირბოროტო საკაცობრიო საკითხს და ცდილობს ცხოვრების დედა აზრის გამორკვევას. იგი კითხულობს:

„რა არის ჩვენი ყოფა წუთი სოფელი,
თუ არა ოდენ საწყალი ალუვსებელი.
ვინ არის იგი ვის თვის გული ერთ ხელ აღევსოს
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით იგი ეკმაროს?
თითონ მეფენიც უძლეველნიც რომელთ უმაღლეს
არვინდა არის და წინაშე არვინ აღუდგეს,
რომელთ ხელთ ეპყრათ უმაღლესი სოფლის დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან „როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს" და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან"-ო.

და დასძენს რომ თუნდ კეთილი, სათნო და მზრუნველი იყოს ადამიანი თავის სამშობლოს და თანამემამულეთათვის რომ „არ მისცეს წყევად თვის სახელი შთამამავლობას", მაგრამ „თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს, მაშინ ვინღა სთქვას მათი საქმე ვინ სადღა იყოსო?". ასეთ კითხვების ახსნა,—რკვევაში აღეძრა მას სამყაროს დაუსაბამობის იჭვი, მაგრამ მაინც იმ დასკვნამდე მივიდა რომ, კი, მართალია, საწუთრო ცვალებადია, სამუდამო არა არის რა.

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას გვესმის მშობლისა.
არც კაცი ვარგა რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს
იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს"-ო.

IX.

დასასრულ უნდა ვსთქვათ ორიოდე სიტყვას ნ. ბარათაშვილის პესიმიზმზე, რაც ნათლად და მკაფიოდ გამოსჭვივის მისი პოეზიიდან.

ისეთი ქართველი მკითხველისათვის, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს მსოფლიოს ისტორიაზე ევროპის კულტურულ ერთა და ჩვენი ლიტერატურის განვითარებაზე, გაუგებარია ბარათშვილის პესიმიზმი ქართულ ლიტერატურაში.

განწირულების და სასოწარკვეთილების ხმა, რომელიც გაისმა მთელს ევროპაში მეთვრამეტე საუკუნის დამლევს, განწირულების ხმა, რომელიც შიშობდა ადამიანის სულსა, გონებასა და გრძნობაზე, საზოგადოებაზე, რომელიც შთანთქმული იყო მონობის მორევში, სწუხდა კაცობრიობის ბედ-იბალზე, რომელშიაც ვერ ხედავდენ ვერაფერს საიმედოს დაუსრულებელი სისხლის ღვრისა, ბარბაროსობისა, ცრუ მორწმუნოებისა და ცრუ მოძღვრების გარდა, აწმყოზე, რომელიც წარმოადგენდა განხორციელებულ მტარვალობას დესპოტიზმის ქარცეცხლში გამოწრთობილს, მომავალზე, რაშიაც იჭვი შეჰქონდა ცხოვრების გაუმჯობესობაზე, იმიტომ რომ თვით ადამიანი მიაჩნდათ აღურაცხელ ნაკლულოვანებით აღსავსეთ, ეს განწირულების ხმა, რომელშიაც ისმოდ მომავალზე უიმედო ღაღადისი, რადგან მასში, როგორც აწმყოში, ვერა ხედავდენ ვერაფერს საიმედოს,—შეიქნა ბაირონის პოეზიის მოტივათ და ეს პოეზია კი მიმართულების და მსოფლმხედველობის სამგლოვი არო თალხათ.

„წარსულიო—ამბობს ბაირონი—არის უსაზღვრო ასპარეზი ბოროტმოქმედებათა, აწმყო—საზიზღარი, მომავალი—ბნელით მოცული; ქვეყანა მოულოდნელ და მოსალოდნელ შემთხვევათა სათამაშო გოჯილა, ხალხი საძაგელი, მმართველნი უმოწყალონი. ფილოსოფია გვიხელს თვალებს და გვიჩვენებს უფსკრულს, რომელსაც არ უძევს საზღვარი, სიყვარული—ეს ხომ მწარე ოცნებააო" და სხვ.

ეს მწარე სინამდვილე ბაირონის სიტყვებში იყო თვით ცხოვრების გამოძახილი. მართალია მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ძველი ცხოვრების ნიადაგი შეირყა, სიკეთის და სიავის დასაბამნი შეხვდენ პირისპირ ერთმანეთს,, საფრანგეთის რევოლიუციამ მათ საკურთხეველზე ერთ გვარის გულგრილობით შეიწირა მათთვის თავდადებულნი, ქარიშხალი ჩადგა და ყველას ეგონა რომ კაცობრიობის ტანჯვა-ვაებას ბოლო მოეღოს, მაგრამ ეს ილლიუზია ცხოვრების ახალმა მიმდინარეობამ მალე გაჰფანტა. ახალმა ცხოვრების პირობებმა მოამზადა ახალი ნიადაგი უთანხმოების. იწყება ისევ ფარული და აშკარა ბრძოლა კა ცთნათესავთა შორის. ბრძოლა ეროვნული, ეკონომიური, კლასობრივი, პოლიტიკური, რელიგიური და ზნეობრივი, რომელსაც არ უჩანს დასასრული და ამიტომ მომავალი ხდება საეჭვო, რასაც ჰქვრის უიმედობის ბნელი ზეწარი.

ასეთმა ატმოსფერამ წარმოშობა პესიმიზმი ევროპაში, რომლის უდიდესი წარმომადგენელი. პოეზიაში არის ბაირონი და ფილოსოფიაში შოპენჰაუერი. კულტურული ერი, რომელიც გამოვიდა ძველი ქერქიდან და ცხოვრების განვითარებაში ემორჩილება ევროპის ცივილიზაციის ზეგავლენას, ვერ აუქცევს გვერდს ვერც მის ლიტერატურას, რადგან თვით ლიტერიტურა გამოხატულებაა ამა თუ იმ ერის ცხოვრების განვითარებისა.

ნ. ბარათაშვილის პოეზიაში ისეთი მედგარი და ძლიერია საკაცობრიო წუხილი და გოდება, რომ თამამათ შეგვიძლია ავღიაროთ იგი ბაირონიზმის პირველი რიგის წარმომადგენლათ. როგორც რუსთა პოეტის ლერმონტოვის, ისე ჩვენი პოეტის პოეზიაში სხვა მხარეებს თითქმის ჩრდილავს პესიმიზმი, რაც არამც თუ იშვიათია, არამედ ერთად ერთი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში. თუ დიდებულმა პოეტმა ლერმონტოვმა სთქვა:

Нѣтъ я не Байронъ, я другой
Еще невѣдомый избранникъ:
Какъ онъ гонимый міромъ странникъ,
Но только съ русской душой,

ესევე სიტყვები შეეძლო ეთქვა ჩვენს პოეტსაც, უკანასკნელი პწკარის შეცვლით, „მხოლოდ ქართველის სულით და გულით".

ის გენიოსური, მოუსვენარი მუდამ მშფოთავი სული, რომელიც სუფევს კაცობრიობაში და ეს უკანასკნელი მიჰყავს საუკეთესო მომავლისაკენ, მოკლეთ ეს საკაცობრიო სულისკვეთება ქართველ ერში გასულ საუკუნეში ნ. ბარათაშვილში გამოიხატა. ამიტომ ქართველმა ერმა მეცხრამეტე საუკუნეში კაცობრიობას მისცა ეს ერთადერთი გენიოსი პოეტი, რომელიც თავისი უკვდავი ჩანგის სიმებით შეეხო მის ისეთ მწვავე გრძნობებს და აზრებს, რომლებითაც მარად და მარადის იქნება მოცული კულტურული ადამიანის გული და გონება.

ს. ჯ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რომ შევუდაროთ ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიზმი შატობრიანისა, ბაირონისა, პუშკინისა და ლერმონტოვის რომანტიზმს, აღმოვაჩენთ, რომ შატობრიანის გმირებს ცხოვრების მოყირჭების მიერ წარმოშობილი სევდა ჰკლავს, ბაირონის ტიპები წარმოადგენენ ტიტანებს, რომელთაც, მართალია, წაწყმედილი აქვსთ რწმენა, მაგრამ შეუპოვრად ებრძვიან ცხოვრებაში გამეფებულ ტრადიციებსა და სამოქალაქო მონობას. პუშკინის ევგენი ონეგინსა და ლერმონტოვის პეჩორინს ცხოვრება მოყირჭებული აქვსთ და სიცოცხლის მიზანს ვერა ჰპოებენ. ნ. ბარათაშვილს კი, თუმცა ცხოვრების ამაოება აღელვებს და აწუხებს, ყმაწვილის „ბრმა სარწმუნოება" დაჰკარგვია, მეგობრობაც კი აღარა სწამს და სულით ობოლს უწოდებს თავს, მაგრამ იმედი მაინც გულში უღვივის. და მის პოეზიაში სულ სხვაგვარი, უმანკო, ნორჩი, ჭაბუკური, არმოყირჭებული, მსასოებელი და ნუგეშმცემელი ხმა ისმის.

ეს არის ქართული რომანტიზმის ნიშნობლივი თვისება ნიკოლოზ ბარათაშვილიდან დაწყებული აკაკი წერეთლის პოეზიამდის.

და, დღეს თუ რომანტიზმის დრომ გაიარა და რეალური მიმართულობის ხანში შევსდგით ფეხი, რომანტიზმი—აუცილებელი წინამორბედი ლიტერატული საფეხური იყო. და თუ ჩვენს თაობას რაინდული, კეთილ-შობილი, ზეამაფრენი ეროვნული და სოციალური სწრაფვა და იდეალები დანერგილი აქვს გულში, წყარო, რომელმაც ეს სწრაფვანი და იდეალები წარმოშვა და აღზარდა, შოთა რუსთველის, ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა დიდი მწერლების რომანტიზმია.

ვასილ წერეთელი.

## ისინი და ჩვენ.

დასასრული. იხილე „სამშ". № 465

ეროვნული შეგნებას თითოული ინდივიდის ღრმა ქვეცნობიერ სულიერ ცხოვრებაში აქვს ფესვები გაშლილი. ჩვენ მთელი ჩვენის ფიზიოლოგიურ—ინტელექტუალურის ცხოვრებით ორგანიული გაგრძელება ვართ წინაპართა არსების. ამით რასაკვირველია ლებონ გუსტავის კონსერვატიულ მოძღვრება არ მინდა გავიმეორო. საქმე ისაა, რომ მოდგმათა ერთხელ შემუშავებული სულიერს თუ ფიზიოლოგიური ტიპს, შთამამავლობა ხელმეორედ ჰქმნის, და ახალისებს, და როგორც ისტორია არ მეორდება, არც ამ ტიპის განმეორება შეიძლება შემოქმედების სფეროში. მაგრამ ძირითადი მოვლენა ე. ი. თვით ტიპის თავისებურობა, მისი ეროვნულობა, მარადიულია, ერთი სიტყვით ერის ინდივიდუალობა შემოქმედების მხრით ცვალებადია პროგრესიულად, ხოლო მისი სოციალობა ეროვნულია მუდამ ეს ძირითადი კანონი უთუოდ დაცულია ყოველ,—თუ გნებავთ,—საუკუნობით გადაგვარებულ პიროვნებაში, მაგრამ უმრავლესობა მას ქვეცნობიერ სულიერ საიდუმლოში ატარებს და ისეთს პოზას ღებულობს აზროვნებისა თუ მოქმედების სფეროში, როგორსაც ქართველი ნიჰილისტები ღებულობდენ ამ ათი წლის წინად. ამ შემთხვევაში პიროვნება ებრძვის იმას, რაც ღრმად ჩამარხულია მთელს მის არსებაში. მხოლოდ შესაფერის მოვლენას შეუძლია პიროვნების ამ შინაგანი წინაამღდეგობიდან განთავისუფლება. საკმარისია შესრულებული იქნას ის, რაც „იავ-ნანამ", შესძლო დაბადების დღიდანვე სამშობლოს კერას მოწყვეტილ ბავშზე და წინაამღდეგობაც მოისპობა. საკმარისია მეხსიერებათა ძალუმად გაღიზიანება, რომ ოთარ—ბეგების ტანჯვას ბოლო მოეღოს, და მათი ეროვნული გრძნობის ხელმეორედ განცდამ ჩვენში ჟრუანტელი გამოიწვიოს.

ამ ასი წლის ისტორიამ ქართველების ეროვნული გრძნობაც ქვეცნობიერების ცხრა კლიტულში დააბინავა. ჯერ კიდევ თბილი იყო ერეკლეს გვამი, მაგრამ 1801 წლ. პოლიტიკურ აქტმა, მხოლოდ მთიულეთსა და კახეთში წარმოშვა უკმაყოფილება, ამ უკმაყოფილებასაც ისეთი სუსტი ხასიათი ჰქონდა, რომ ზოგიერთები ამტკიცებდენ, აჯანყებულებმა მარტო მოხელეებს გამოუცხადეს უკმაყოფილება, თორემ თვით 1801 წ. მანიფესტის წინაამდეგ არაფერი ჰქონდათო. ეს შეხედულება მართალია იმდენად, რამდენადაც აჯანყებულთა მოთხოვნილება ბუნდოვანი იყო, მაგრამ თუ მოხელეებს, რუსეთის სისხლ-ხორცად ჩავთლით და იმათგან შექმნილ სასტიკ პირობებს კიდევ ჩვენი პოლიტიკური სიკვდილის შედეგად მივიღებთ, მაშინ ყველაფერი ცხადი იქნება ჩვენთვის. ხალხი მოითხოვდა, სამართალს და არსებული უსამართლობა ალბათ კნორინგის მანიფესტს მოჰყვა. იმ მხრით, რა მხრითაც ჩვენ საკითხი გვაინტერესებს მათი მოთხოვნილება გაურკვეველი იყოს, მაგრამ ამ გაურკვევლობაში თავის და თავად იგულისხმებოდა ეროვნული მომენტი.

უფრო საინტერესო მაგალითს გვაძლევს „მოძრაობის" დროინდელი გურია. როგორც ვთქვით, ხალხი მთავრობას ევედრებოდა ჩვენს საქციელს ნაციონალისტობათ ნუ ჩამოგვართმევო და ამავე დროს გურული გლეხები წმინდა ქართულ სასამართლოებს აარსებდენ, სადაც ყოველგვარი სადაო საკითხი ეროვნული ზნეჩვეულებისა და ადათის მიხედვით წყდებოდა. ავტონომიის წინაამღდეგ სიტყვიერად განწყობილი გურია, ნამდვილი ავტონომიური იყო საქმით. სიტყვასა და საქმეს შორის მეტი წინაამღდეგობა განა შეიძლება? მაგრამ ეროვნული გრძნობის ძირითადი დამახასიათებელი თვისება სწორედ ესაა. ქვეცნობიერებაში დამარხული სულიერი კანონი აგრე ადვილად არ გამოდის დღის სინათლეზე და თუ გამოდის იგი შეუმჩნეველია პიროვნებისათვის. რომ ეს მოვლენა ცნობიერებაში მოვიდეს ამისთვის არა კმარა ის საშუალებანი, რასაც სოციალური ბოროტება საჭიროებს. კუჭის საკითხი დღედაღამ თვალ წინ უდგას ყოველ ადამიანს. გაურკვევლობას და შინაგან წინაამღდეგობას ამ მოვლენაში ალაგი არ აქვს: მე მშია, მაშასადამე ჭამა მინდა. აი ყოველდღიური ლოღიკა ეკონომიური საკითხისა. ამ დარგში ტვირთ-მძიმენი და მაშვრალნი არავითარ ორჭოფობას არ იჩენენ.

სულ სხვაა ეროვნული ცხოვრების ლოღიკა. ქართველების ეროვნული შეგნება შემეცნების ჯურღმულში ჩაკეტა ისტორიულ პირობებმა და კლიტე უძირო ოკეანეში გადააგდო. ქართველი ერის ცეცხლში გაწვრთნილსა და ეროვნულად ცნობიერებაში მოსულ ქართველი მეზღვაურიზეა დამოკიდებული ამ კლიტის აღმოჩენა. მოწინაამღდეგეები უკეთეს პირობებში არიან ამ მხრივ, რადგანაც მათ, მუხთალი გარემოებაც ხელს უწყობთ. ჩვენ აღარ გვარგია კაბინეთებში ჯდომა. ჩვენი ბრძოლა უფრო სახიფათოა და ძნელი, მაგრამ შედეგი უფრო დიადი და განუზომელი იქნება, კაბინეთებიდან ქუჩაში და ქუჩიდან მასაში უნდა გავიდეს მძლავრი ეროვნული შეგნება, რომ დავრწმუნდეთ ქართველი ხალხის ზვიად მამული შვილობაში. თითოეული ქართველ ინდივიდს უთუოდ თან დააქვს რიდე გადაფარებული ეროვნული გრძნობა, მხოლოდ საჭიროა ერთგვარი ფოკუსით გამოვაშკარავოთ ეს გრძნობა, და ახალი შინაარსით გამოვიწვიოთ შერეული წინაპართა სული.

ვენე.

## პროვინციის ცხოვრება.

**სოფელი. მანდაეთი** (შორაპნის მაზრა). 6 ოქტომბერს ღამით რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დაესხა დავით ჯიბოს ძე გელაშვილის სავაჭროს. ბოროტ გამძარცველებს კარებიდან შესვლა რომ ვერ მოუხერხებიათ დუქანში, ქვითკირის კედელი გამოუნგრევიათ და ისე შესულან. საქონელი წაღებულია 3400 მანეთისა. საყურადღებო ის არის, რომ ბოროტ გამძარცველებს არავის შიში არ ჰქონიათ და თავისუფლად დაუცარიელებიათ დუქანი. ან ვისი შიში ექნებოდათ, როცა სოფელი ქალებისა და ბავშვების ამარაა მიტოვებული. როგორც წინასწარმა გამოძიებამ გამოარკვია საქონელი ჭიათურისკენ უნდა იყოს წაღებული. ერთ ერთ ბოროტ გამძარცველს შავქვანი ჯოხი და წაღის ქუსლი მოვარდნია ურმზე გადასტომის დროს და დარჩენია.

ამავე ოქტომბერში სოფელ სვერის მცხოვრების ოქროპირ ცუცქირიძეს მოჰპარეს ხარები. საზოგადოთ წვრილმან ქურდობას ხომ საზღვარი არა აქვს: იკარგება შინაური ოთხფეხი პირუტყვი და ფრინველები.

ჩვენს ახლო მახლო სოფლებში ყაჩაღობასა და წვრილმან ქურდობას დიდათ ხელს უწყობს ის გარემოება, რომ სოფელი დაცარიელებულია ხალხით და ამავე დროს ადმინისტრაცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ავაზაკთა თარეშს.

საჭიროა ენერგიული ზომების მიღება როგორც ადმინისტრაციისაგან ისე ხალხისაგან, რომ ამ ვაჟბატონების თარეში აიღაგმოს, თორემ დღეს ერის მოუსვენებს საზარს ცხოვრებისას და ხვალ მეორეს.

იმედია საჩხერის რაიონების ადმინისტრაცია ენერგიულ ზომებს მიიღებს საქონლის აღმოსაჩენად, რადგანაც საქონელი იქვე ახლო მახლო იქნება მიმალული.

ადგილობრივი.

## რუსეთი.

მემარჯვენეთა ახალ საზოგადოებას: „1914 წელი" „შავი წიგნი„ შემოუღია რომელშიაც მათის აზრით, სამშობლოს მოღალატეების გვარი შეაქვთ.

ამას წინად უწმ. სინოდში წინადადება შეიტანეს, რომ განქორწინების საქმე სამოქალაქო სასამართლოსათვის გადაეცათ. ამაზე სინოდმა მსჯელობა იქონია და დასტური არ მისცა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სიძვირესთან ბრძოლის მრავალი პროექტი მისდის. ზოგი სიკვდილით დასჯის საჭიროებასაც კი ამბობს. რამდენიმე პროექტის ავტორი საჩქაროდ პეტროგრადში გაუწვევიათ, რათა მოიშველიონ სიძვირესთან ბრძოლაში.

სწავლა განათლების მინისტრის გრაფ იგნატიევის ნებართვით უკრაინის ერთ-ერთ ქალაქში მოკლე ხანში უკრაინული გიმნაზია გაიხსნება, რომელშიაც ყველა საგნების სწავლება უკრაინულ ენაზე იქნება.

დონის როსტოვში ვარშავის უნივერსიტეტის საქიმო კორპუსი ერთიანად გადამწვარა.

ცნობილი სპეკულიანტი და ბანკირი რუბინშტეინი როგორც ხმა დადის, გაუნთავისუფლებიათ.

ბაქოში უკვე გაიხსნა სადაბალო (ტყავის წარმოების) კურსები

ბოლო დროს „წითელ ჯვრის" დაწესებულებებში ერთმა არა სასიამოვნო მოვლენამ მოიკიდა ფეხი. დაწესებულებაში მსახურნი ფულსა ფლანგავენ და, რა-კი სასამართლოსა და სახელის შერცხვენისა ეშინიათ, თავს იკლავენ.

შრომის ჯგუფს სათათბიროში პროექტი შეაქვს, რომ ის მამულები, რომლებზედაც სხვილი მემამულეები არა სთესენ, ძალით გასცენ იჯარით სხვებზე

გენ. შუვაევს წინადადება შეუტანია მინისტრთა საბჭოში, რომ ყველა ჯარში გაწვეული ებრაელი სტუდენტები რიგის გარეშე მოხელეებად დანიშნონ. ამ შემთხვევაში წარმატებას ისინი ვერ მიიღებენ. აზრადა აქვთ ასე მოექცნენ იმ არა ებრაელ სტუდენტებს, რომლებთაც აფიცრობის მიღება არ შეუძლიათ უუფლებობის გამო.

## უცხოეთი.

ჰოლანდიაში საიდუმლოდ ომისათვის მზადება სწარმოებს. ჯარს ერთი ქალაქიდან მეორეში გზავნიან, ნავთ-სადგურებს ათვალიერებენ და აწარმოებენ. პრესა თავს იკავებს. ვის წინაამღდეგ ემზადება ჰოლანდია, არავინ იცის.

პარიზის ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვა მათი გამარჯვებით დასრულდა. განსაკუთრებით ამის გამო გამოცემულ დეკრეტში მთავრობა თავდებად უდგება ტრამვაის გამგეობას, რომ იგი მუშებს სრულიად დააკმაყოფილებს.

საფრანგეთის რამდენიმე ქალაქში და განსაკუთრებით პარიზში ტრამვაის გაფიცვები დაიწყო გაფიცულებმა ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებანი წარადგინეს.

ნორვეგიის სანაპიროები გერმანულ წყალ ქვეშათა მიერ გარემოცვას გერმანული პრესა იმითა ხსნის, რომ ნორვეგიამ ბოლო დროს აშკარად ინგლისს დაუჭირა მხარი და მრავალი სანოვაგის მიზიდვა გერმანიაში სრულიად აღკრძალა. თუ ნორვეგიას სურს აიცდინოს გერმანიის კლანჭები, ეხლავ უნდა შესცვალოს თავისი სავაჭრო პოლიტიკა—დასძენენ გერმანული გაზეთები.

მოკავშირეთა წარმომადგენლების ბულონში შემდგარ ყრილობამ საბერძნეთის შესახებ ის აზრი გამოსთქვა, რომ ვენიზელოსის მთავრობა არ იცნონ საბერძნეთის მთავრობათ, არამედ მხოლოდ იმ ოლქების უფროსად, რომელ ოლქებიც მათ უპყრიათ.

მოკავშირეთა წარმომადგენლებისათვის საბერძნეთის მეფეს პირადად განუცხადებია იმ შემთხვევაშიაც კი, თუ თქვენ ბულგარლებზე გაილაშქრებთ თქვენი ჯარის ზურგს სრულიად უზრუნველვყოფ.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**"

**ექიმი ი. ჩარკვიანი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში უსხმს „606" და „914") დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი: ლვოვოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**
**მარიამ ტ. გალანჩიკაძისა.**
ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ერთო ვყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილი წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.
ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.
304—1—თვით.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე ..... დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ..... ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. ..... 6—8 საათ.
8-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**დოქტორი მედიცინისა**
**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**
ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.
10—4 დღ. გამ.

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჭილაძის შესავალი გაზ „მეგობრის" რედაქციის ბინიდან.

**გეგია** მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**გამოცდილი მასწავლებელი**
სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.
მისამართი: გაზ. „სამშობლოს" რედ.



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 | წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 | „ |

**ავი სენი.**
ეხლა მას სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.
სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამავენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან?
**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.
**პრეპარატი.** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.
**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მეწყვებს, ჩირქის დენას გემსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.
**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხითარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დევეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.
**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**
9—(წლიური)



ეროვნული ბიბლიოთეკა